ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3559778

ნომერი: AR1540946

თარიღი : 15.09.2017

გაცემის თარიღი : 22.09.2017

გაცნობის თარიღი : 29.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო დიდუბის მიმდებარედ, (ნაკვ. 51/60) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი მაისურაძე პ/ნ 01020004116
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 7 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავება. შესაბამისად სამსახური ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს რაიმე სახის ნებართვა თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე არეალში. ამასთანავე თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ს.კ. #01.13.03.051.060 ვრცელდება სატრანსპორტო კვანძის მოწყობის არეალი, სადაც შეზღუდულია ნებართვის გაცემა I, II, III, IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.